განათლების სისტემის განვითარების პრობლემები და დაძლევის პერსპექტივა

დოდო ხომასურიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0004-8222-0572
E-mail: xomasuridze85@gmail.com

ბექა სხირტლაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0009-9000-4235
E-mail: bekaskhirtladze04@gmail.com

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.03.11

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს განათლების სისტემაში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან სწავლების პროცეს და სწავლების ხარისხის ამაღლებას.

ნაშრომში ასახულია ავტორთა დამოკიდებულება განათლებისადმი და მოცემულია მათი მოსაზღებები განათლების ხარისხის ამაღლების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ.

ავტორთა მოსაზრებით, განათლება, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა - ეს სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. განათლების ფორმებისა და მოტივების ზრდაზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს.

განათლებული ადამიანის აღზრდა ნიშნავს სახელმწიფოს სიძლიერეს, ეკონომიკის განვითარებას, ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების ამაღლებას, ჯანდაცვის უზრუნველყოფას, მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობას.

საკვანძო სიტყვები: განათლების სისტემა, რეფორმები განათლების სისტემაში, საჯარო სკოლა, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება.

ციტირებისთვის: ხომასურიძე დ., სხირტლაძე ბ., (2023), განათლების სისტემის განვითარების პრობლემები და დაძლევის პერსპექტივა, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 16 (3), 80-85. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

PROBLEMS OF DEVELOPMENT OF EDUCATION SYSTEM AND PERSPECTIVE OF OVERCOMING

Dodo Khomasuridze
Doctoral student of Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0004-8222-0572
E-mail: xomasuridze85@gmail.com

Beka Skhirtladze
Doctoral student of Sukhumi State University
https://orcid.org/0009-0009-9000-4235
Email: bekaskhirtladze10@gmail.com

ANNOTATION

The article discusses the problems in the education system of Georgia, which prevent the teaching process and raising the quality of teaching.

The paper reflects the attitude of the authors towards education and gives their opinions about urgent measures to raise the quality of education.

According to the authors, education, raising a healthy generation, taking care of the country's development and well-

being - this is the primary duty of the state. The state should take care of the growth of forms and motives of education.

Raising an educated person means the strength of the state, the development of the economy, the improvement of physical, intellectual and moral skills of a person, the provision of health care, and the general well-being of the population.

Key words: Education system, reforms in the education system, public school, private educational institution.

For citation: Khomasuridze D., Skhirtladze B., (2023), Problems of development of education system and perspective of overcoming, journal „Business and Legislation" 16 (3), 80-85. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

ძირითადი ტექსტი

გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევრიდან - საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებისა და სოციალისტური წყობის ტრანსფორმაციული პროცესების დაწყების შემდეგ, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მუდმივად რეფორმები მიმდინარეობს და უწყების ყოველი ახალი ხელმძღვანელი „საეტაპო" ცვლილებებს ატარებს.

დამოუკიდებელ საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივ მზრუნველობას, პოსტსაბჭოთა ეპოქაში ალტერნატივებიც გაუჩნდა და კერძო ინტერესებმა სწავლების სფეროში ლეგალურად შეაღწია. დღეს უკვე სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი საგანმანათლებლებო დაწესებულებების ნაწილს ბიზნესი მართავს.

სხვა მრავალთა შორის, თანამედროვე განათლების სფერო, მასში არსებული პრობლემები, უმწვავესი და მრავალწახნაგა ზე-აქტუალური თემაა. განათლების გარეშე შეუძლებელია სამყაროს შემეცნება, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა. განათლება ემსახურება ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. განათლების დეფიციტი ნეგატიურად აისახება ადამიანის სოციალურ გარემოში ადაპტირების უნარზე, საკუთარი თავის შეცნობასა და პიროვნული ხარვეზების შეცვლის განწყობაზე.

გადაჭარბების გარეშე, უნდა გავიაზროთ, რომ განვითარების პრიორიტეტებს შორის უმთავრესი განათლებაა და სახელმწიფოს ძირითადი საზრუნავი ეს სფეროა, რადგან მხოლოდ განათლებულ ადამიანს შეუძლია დაიცვას მშვიდობა, შექმნას მატერიალური დოვლათი, უზრუნველყოს ჯანმრთელი და მდგრადი გარემო ადამიანის ცხოვრებისა და კეთილდღეობისთვის.

დღევანდელ სწრაფად ცვლად ვითარებასა და ევროინტეგრაციულ პროცესებში განათლების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

განათლება, პირდაპირი გაგებით, არის სწავლისა და ცოდნის მიღების პროცესი, რომელიც ადამიანის ქვეყნად მოვლინებიდან იწყება და მთელი მისი არსებობის განმავლობაში გრძელდება. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა სკოლის პერიოდს ენიჭება. მისი დანიშნულების მიუხედავად, ჩვეულებრივზე მეტი პრობლემები სწორედ ამ სფეროშია. არსებული სახითა და ბაზით, სკოლა არ იძლევა მოსწავლის ნიჭის, უნარების, მისწრაფებებისა და ინტერესების საფუძვლიანად გამოვლენისა და მიზანმიმართულად წარმართვის შესაძლებლობას. სამწუხაროდ, განათლების სისტემაში პრობლემის იდენტიფიცირებისა და დაძლევის პერსპექტივაზე შესაბამისი ღონისძიებები არ ტარდება. ამ სისტემის ხელმძღვანელების მოქმედებები იმართება საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთებითა და პირობებით, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს აცდენილია.

ცხადია, რომ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების სპექტრი ფართეა და ყველა საკითხს საფუძვლიანად ვერც შეეხები. ამიტომ ამ ჯერზე სასკოლო განათლების მხოლოდ ცალკეულ საკითხზე შევჩერდეთ.

ვერ ვიქნებით ობიექტური, თუ დავიჩემებთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ინტენსიურ დინამიკაში მხოლოდ წარუმატებელი პროექტები იყო. განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის თანხვედრი აქტივობებიც განხორციელდა: უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა მიზნები; შეიქმნა ახალი ინსტიტუციები და ინსტრუმენტები; სკოლებს ამარაგებენ სასწავლო პროგრამებით; მასწავლებლებს ეხმარებიან კვალიფიკაციის ამაღლებაში; სწავლობენ მოსწავლეების მიღწევებსა და სკოლებში სწავლების ეფექტიანობას; ეხმარებიან სკოლებს ადმინისტრაციული პრობლემების გადაწყვეტასა და ინფორმაციულ კომუნიკაციაში; შემოღებულია სკოლების ავტორიზაცია; ჩამოყალიბდა აკრედიტაციის ეროვნული, მასწავლებელთა განვითარების პროფესიული, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების, გამოცდების ეროვნული ცენტრები, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; შეიცვალა განათლების მართვის სისტემა. საშუალო სკოლა საჯარო სკოლამ ჩაანაცვლა.

რეფორმათა შეფასების ამსახველი მოხსენებებითა თუ ინფორმაციული ნაკადებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ განხორციელებულმა ღონისძიებათა ერთობლიობამ განაპირობა: საჯარო სკოლების ავტონომიურობის გაზრდა; სკოლის შიდა საქმეებში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის შემცირება; ფინანსური და საოპერაციო მმართველობის ფუნქციების სკოლებისთვის დელეგირება; სკოლების ოპტიმიზაცია და სისტემაში ფინანსური ნაკადების ეფექტიანობის ამაღლება; ვაუჩერული დაფინანსების შემოღება და სკოლებს შორის კონკურენციის დამკვიდრება.

უდავოა, რომ ვაუჩერების შემოღებამ ხელი შეუწყო კერძო სექტორის ფინანსურ სტაბილურობას, დაფინანსების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. სკოლების თვითმმართველობების ჩამოყალიბებამ,

რაც, უმთავრესად, სკოლის შიგნით სამეურვეო საბჭოებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნას, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის სტიმულირებასა და დირექტორების არჩევითობას გულისხმობს, გაზარდა სკოლის პასუხისმგებლობა სასკოლო თემის წინაშე. ეროვნული სასწავლო გეგმა, ინფორმაციის ათვისებასთან ერთად, მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრალურ ფიგურად მოსწავლე განიხილება და ეროვნულ სასწავლო გეგმებში გაითვალისწინება სკოლისგან თითოეული მოსწავლის საჭიროებები. მნიშვნელოვანი პროგრესია სკოლების ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივაც, რაც გულისხმობს სკოლების გარემონტებას და ახალი ინვენტარით უზრუნველყოფას. სკოლებს მიეწოდება კომპიუტერები და მთელ სისტემაში შევიდა ინტერნეტი. ახალი შინაარსისა და მიდგომების შესაბამისად, შეიქმნა პროფესიული სტანდარტები, რომლებშიც განსაზღვრულია პედაგოგიური ცოდნის, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების მიმართ მოთხოვნები. შემოღებულია მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა, ასევე, მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა. მოქმედებს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემა, რაც მოიცავს სასწავლო პროგრამების ხარისხის მართვას, აგრეთვე აკრედიტაციისა და შედეგებზე შემდგომ დაკვირვებას.

მიუხედავად სახელმწიფოს ასეთი მეცადინეობისა, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა განათლების დონე სასურველზე ბევრად დაბალია; მასწავლებელთა მიმართ დამოკიდებულება მათი მისიისა და დანიშნულების ადექვატური არ არის; მოსწავლის დაფინანსება (ვაუჩერი) არ ასახავს რეალურ ხარჯებს და ვერ უზრუნველყოფს სწავლების მოტივივაციის ამაღლებას; სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (განსაკუთრებით რეგიონებში) საჭიროებს განახლებას, შევსებას, დამატებით კაპიტალდაბანდებებს; ცენტრებისგან ჯერ კიდევ მკვეთრად განსხვავებულია სოფლად სწავლების ხარისხი და სასკოლო ინფრასტრუქტურა; სისტემის ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურული ერთეულებების დასახელებებში თითქმის ყველგან უშინაარსოდ ჩართულია „ეროვნული“ (ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი), ამასთან, მათი საქმიანობა დაცლილია ამ სიტყვის შესაბამისი არსისგან და სრულიად განსხვავებული სულისკვეთების ჩამოყალიბებას ემსახურებიან.

საქართველოს საჯარო სკოლებში არსებულ პრობლემებსა და სწავლების სავალაო შედეგებს ნათლად ასახავს მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის, PISA 2022-ის კვლევის მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლის თანახმადაც:

- „საქართველო წაკითხულის გააზრებაში, 81 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა. მათემატიკაში მე-60, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კი 66-ე;
- საშუალო მაჩვენებელი წაკითხულის გააზრებაში 476 ქულაა, მათემატიკაში 472, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კი 485;
- საქართველოში მოსწავლეებმა OECD-ის საშუალოზე ნაკლები ქულები მიიღეს მათემატიკაში, კითხვასა და საბუნებისმეტყველო საგნებში;
- 2018 წელთან შედარებით, წაკითხულის გააზრებაში საქართველოს მაჩვენებელი 6 ქულით შემცირდა და 374 ქულას შეადგენს, მათემატიკაში 390-ს (-8), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კი 384-ს (+1);
- სოფლებსა და დაბებთან შედარებით უფრო მაღალი შედეგებით თბილისში მაცხოვრებელ მოსწავლეებს აქვთ;
- სქესის მიხედვით შედეგებში გოგოების მაჩვენებელი ბიჭებისას აღემატება“ [1].

2022 წელს კვლევაში მონაწილეობდა 267 სკოლის 6,583 მოსწავლე. სკოლის დირექტორის კითხვარი შეავსო 267-მა დირექტორმა, მასწავლებლის კითხვარი კი - 3,202-მა პედაგოგმა, ხოლო მშობლის კითხვარი - 6,252-მა მშობელმა/მეურვემ. PISA 2022 წლის ტესტირებისას საქართველოში 15 წლის მოსწავლეების 76% ირიცხებოდა მე-10 კლასში“[1].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაში საქართველო 2009 წლიდან მონაწილეობს. წინა შეფასებები ჩატარებულია 2015 და 2018 წლებში. კვლევა 15 წლის მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს აფასებს მათემატიკაში, კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. შეფასება მოიცავს ფაქტობრივი გარემოებების ფართო სპექტრს და სარწმუნოდ ასახავს საგანმანათლებლო სისტემის მიერ 15 წლის ასაკის ბავშვების მომზადებას გამოწვევებისა და მომავალი წარმატებისათვის.

2015 და 2018 წლების კვლევის შედეგებიც არ იყო სახარბიელო. ბოლო კვლევამ კი 2018 წლის ცალკეულ პარამეტრებთან გაუარესება აჩვენა.

სადავო არ არის, რომ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, განათლების სისსტემის რეფორმის წარმატებულობის შესახებ ანგარიშები და მოხსენებები არ შეესაბამება რეალობას. ყველა ნიშნის მიხედვით კარგად ჩანს, რომ განათლების ხარისხი საჯარო სკოლებში არ ვარგა და ჩვენი მოზარდები საშუალოზე დაბალ ნიშნულს აჩვენებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი მათივე თანატოლებს სხვადასხვა ქვეყნებში ვერ გაუწევენ კონკურენციას, არ გვეყოლება განათლებული მომავალი თაობა, პროფესიებისა და შესაბამისად, ქვეყნის განვითარებას პერსპექტივა არ ექნება.

საინტერესო დინამიკა იკვეთება კერძო საგანმანათლებლო პრაქტიკაში.

სხვათა შორის, 2022 წელს ჩატარებული კვლევა

მოიცავდა სკოლის ტიპის, ადგილის, ტესტის ენისა და მოსწავლის სქესის მიხედვით გამოკითხვებს და ამ კომპონენტების ანალიზმა აჩვენა, რომ **„კერძო სკოლის მოსწავლეები უფრო მაღალ შედეგს აღწევენ, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეები“.**

ფაქტობრივ მდგომარეობაზე ზოგადი შთაბეჭდილების წარმოსადგენად, შედარებისთვის იმერეთის რეგიონის ორი კერძო სკოლის: „ზესტაფონის მომავლის სკოლისა“ და თერჯოლის „მზეკაბანი-2007-ის“ შედეგებს დავიმოწმებ. აქედან, „ზესტაფონის მომავლის სკოლა“ ფუნქციონირებს 2017 წლიდან. სკოლა მუშაობს დილის 9 საათიდან 16 საათამდე. აქ იყენებენ საჯარო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმას და საათობრივ ბადეს. 14 საათიდან იწყება დღის მეორე ნახევარი, რომელიც მოიცავს, როგორც აბიტურის საათებს, ასევე დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის გაკვეთილების მომზადებას. უმაღლეს საფეხურზე სწავლების გაგრძელებისთვის მე-10 - მე-12 კლასის მოსწავლეები აღარ საჭიროებენ დამატებით რეპეტიტორს, რადგან სკოლაში არის იმის მზაობა, რომ მოსწავლეებმა უმაღლესი შედეგი აჩვენონ ეროვნულ გამოცდებსა და სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებში... ასე, მაგალითად, წელს ამ სკოლის ერთ-ერთმა წარჩინებულმა მოსწავლემ უმაღლესი შედეგები (1600-დან 1548 ქულა) აჩვენა ამერიკული უნივერსიტეტების მისაღებ გამოცდაზე. აღნიშნული სკოლა სამი წელია პირველობას არავის უთმობს რაიონში გამართულ კონკურსებში...სკოლას ყავს საკუთარი სტიპენდიანტები, მათ შორის, წელს ორ წარჩინებულ მოსწავლეს გადასახადი გაუნახევრდა (დამეთანხმებით, სტიპენდიები და სწავლის გადასახადისგან ნაწილობრივ ან სრულად განთავისუფლება მოსწავლეებს შედეგზე ორიენტირებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს უქმნიან). „ზესტაფონის მომავლის სკოლას“ არსებობის განმავლობაში არ ჰყოლია ეროვნულ გამოცდებზე ჩაჭრილი მოსწავლე, ყველანი აბარებენ მაღალი ქულებით, მხოლოდ სკოლის ბაზით და აქ მიღებული ცოდნით. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ ჰყავს არცერთი „ოროსანიც“, რადგან ყველა მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს, რომ ამით სკოლის სახელს და იმიჯს ჩრდილქვეშ დააყენებს, უფრთხილდება სკოლის სახელს და საკუთარ ღირსებებსაც.

შედეგები, რომელსაც სკოლამ მიაღწია, უწინარესად, ძლიერი პედაგოგების დამსახურებაა. აქ დასაქმებულია 3 წამყვანი და 21 უფროსი მასწავლებლი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მხოლოდ 10 თვის ხელფასს უხდიან და არც სახელმწიფო დაზღვევა აქვთ, განსხვავებით საჯარო სკოლებისა, არიან ძალიან მოტივირებულები, ენთუზიაზმით და ნოვატორული იდეებით აღვსილნი.

ცხადია, პრობლემები კერძო სკოლებსაც აქვს, უპირველესად ეს ფინანსებს უკავშირდება. დაწყებით საფეხურზე სწავლების გადასახადი წლიურად სულ 1300 ლარია, საბაზოზე - 1600 და საშუალო საფეხურზე - 2000 ლარი. სკოლას სახელმწიფო ვაუჩერი ერიცხება ერთ მოსწავლეზე 25 ლარი თვეში. ამჟამად, სკოლაში 161 მოსწავლეა. რეგიონში მაცხოვრებელთა დაბალი გადახდისუნარიანობის გამო, სწავლების გადასახადის გაზრდის შესაძლებლობა შეზღუდულია. ასეთ მოცემულობაში, ძნელი დასათვლელი არ არის სკოლის შემოსავლები და ხარჯებიც კი, მით უფრო, კერძო სკოლას, როგორც სამეწარმეო სუბიექტს, გადასახადების გადახდაც უწევს. სახელწიფო კერძო სკოლებს უყურებს, როგორც ბიზნესს და არ ერევა მათ დაფინანსებაში. კერძო სკოლებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შემომწირველებიც არ ჰყავს და მათზე არც გრანტები გამოიყოფა.

შეზღუდული შემოსავლებისა და შესაბამისად, მწირი ხელფასის გამო, აქ ხშირია მასწავლებლების გადინება, რაც საფრთხეს უქმნის სწავლის უმაღლესი ხარისხის მიღებისათვის აუცილებელ მუდმივი კადრის სტაბილურობას.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა თერჯოლის „მზეკაბანი-2007-ში“. სწავლის ხარისხი და შედეგები, რეგიონის ნებისმიერ საჯარო სკოლასთან შედარებით, აქ ბევრად მაღალია. „მზეკაბანი-2007-ში“ სულ 150 მოსწავლე სწავლობს.

„მზეკაბანის“ მე-10 - მე-12 კლასის მოსწავლეებიც სხვაგან არ ემზადებიან და წარმატებით ხდებიან სტუდენტები. მაგალითად, „მზეკაბანის“ წინა წელს 3 -100% გრანტის მფლობელი მოსწავლე ყავდა, 2 – 70%-იანი და 4 – 50 %-იანი. სკოლაში მკაცრად კონტროლდება საგამოცდო და სასწავლო პროცესები, რაც განსაზღვრავს სკოლის ესოდენ მაღალ შედეგებს ეროვნულ გამოცდებზე. უპირველესად კი, ეს დამსახურებაა იმისა, რომ ამ სკოლის მასწავლებლები მაღლკვალიფიციურად, კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლები არიან არა მარტო მშობლის, არამედ სკოლის ადმინისტრაციის წინაშე. სკოლაში ხორციელდება პროექტი „მზეკაბანის კურსდამთავრებულები მზეკაბანისთვის“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ წარჩინებული და წარმატებული მზეკაბანის კურსდამათავრებულები. ისინი სრულიად უსასყიდლოდ ატარებენ ლექცია-სემინარს, სადაც აღნიშნავენ მზეკაბანის როლს მათ წარმატებაში, ეს პროექტი კიდევ ერთი მოტივატორია თერჯოლელი ბავშვებისათვის. რაც მთავარია, სკოლაში შექმნილია სასწავლო, სუფთა, მშვიდი, კომფორტული გარემო.

როგორც ჩანს, კერძო სკოლებში მეტი ინიციატივა, შესრულება, მოტივაცია და პასუხისმგებლობა, აგრეთვე სწავლის ხარისხი და შედეგები ეროვნულ გამოცდებზე ბევრად მაღალია, ვიდრე საჯაროში.

ამ ნიშნის მიხედვით, შესაძლოა, დასკვნაც გაკეთდეს და რეკომენდაციაც გაიცეს, რომ საგანმანათლებლო სისტემა კერძო ინიციატივებზე გადაეწყოს. მაგრამ ეს არ იქნებოდა რაციონალური მოქმედება. რა თქმა უნდა, კერძო ინიციატივებში არის გარკვეული უპირატესობის ელემენტები. თუმცა **განათლება, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობაზე**

ზრუნვა - ეს სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. განათლების ფორმებისა და მოტივების ზრდაზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს.

ჩვენ აზრით, როგორი დამოკიდებულებაც აქვს სახელმწიფოს განათლებისადმი, ამ მთავარი კრიტერიუმის მიხედვით უნდა ფასდებოდეს სახელმწიფოს წყობილება და განვითარების პერსპექტივაც.

ცხადია, დემოკრატიულ საზოგადოებაში კერძო ინიციატივებს ვერ გამორიცხავ და გარკვეული დროის განმავლობაში დარჩება კიდეც სახელმწიფო სკოლის ალტერნატივა. მაგრამ ამ შემთხვევაში,

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა იყოს ერთნაირ პირობებში და დაუშვებელია, რომ კონკურენცია ხელოვნურად იყოს შეზღუდული. მაგალითად, იმ ფორმით, რომ ვიღაცას ჰქონდეს საშუალება გრანტები მიიღოს და ვიღაცას არ ჰქონდეს საშუალება. ეს არის მმართველობს ფორმა და საქმიანობის განხორციელებასთან ამას კავშირი არუნდა ჰქონდეს - დღეისთვის საჯარო სკოლებში შესაძლებელია მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება როგორც შემოქმედებითი, ასევე, სასკოლო კულტურული და სხვა ღონისძიებებისთვის. იგივე არ ხდება კერძო სკოლებთან დაკავშირებით და გარდა ამისა, დღევანდელი მოცემულობით დაფინანსების მოდელები განსხვავებულია კერძო და საჯარო სკოლებს შორის, რაც არაჯანსაღი კონკურენციის პირობებს უქმნის, როგორც კერძო სექტორის სტაბილურობის განვითარებას, ასევე, საჯარო და კერძო სექტორს შორის ჯანსაღი კონკურენციას.

მოქმედ კანონში გათვალისწინებული ცვლილება უფლებამოსილებას ანიჭებს სამინისტროს, რომ მხოლოდ განსაკუთრებული მიზნობრიობის და არგუმენტირებული დასაბუთების შემთხვევაში ინდივიდუალურ რეჟიმში გადაწყვიტოს კერძო სექტორის დაფინანსების საკითხი, თუმცა ასეთი პრეცედენტები აქამდე არ მომხდარა.

განსაკუთრებული ძალისხმევა არაა საჭირო იმისთვის, რომ ფრიად სავალალო მდგომარეობაა საქართველოს განათლების სიტემაში. საგრძნობი უპირატესობისა, კერძო სექტორშიც არაა საუკეთესო მდგომარეობა, საჯარო სკოლის შედეგები კი საგანგაშოა.

ამ დროს განათლები სამინისტრო არ ატარებს იმ ღონისძიებებს, რაც მდგომარეობიდან გამოგვიყვანდა. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს ვითარების შელამაზება და მოინახოს დროებითი გამოსავალი.

ასეთის საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება შემდეგი ფაქტი: გასულ წლებში ეროვნულ გამოცდებში ბევრი აბიტურიენტი ჩაიჭრა. უკეთესი შედეგის მისაღებად კი მისაღები მინიმალური ზღვარი დაწიეს;

სრულიად გაუაზრებელი და შეცდომა იყო 2005-2006 წლებში კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდების გაუქმება, რამაც სკოლის მოსწავლეთა სწავლების დონე კიდევ უფრო გააუარესა;

ერთ-ერთ შემაფერხებელ და მაამებლურ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ უცხოური განათლების მიღებაზე ორიენტირება, უცხოური ენის სწავლებაზე გადაწყობა და საკუთარის მოვიწყება, პატრიოტული სულისკვეტებისგან სკოლის დაცლა;

საჯარო სკოლებში პედაგოგი არ ასრულებს მასზე ჯერ კიდევ დარჩენილ უფლება-მოვალეობებს და ქაოსურად მიჰყავს საგაკვეთილო დღის წესრიგი... კიდევ ერთი მიზეზია მასწავლებელთა თვითნებობა და ბავშვებთან სადისკუსიო კამათში არასათანადო პოსტულატთა მტკიცება, რომელიც შეურაცხყოფს ბავშვის ღირსებას და ანელებს სწრაფვასა და ინტერესს საგნისადმი. ეს მიზანმიმართულად ხდება.

გვერდს ვერ ავუვლით შეფასებით ახალ სისტემაზე გადასვლასაც, როცა მოსწავლეებს დავალებებს აღარ აძლევენ და, გამომდინარე აქედან, შეფასებებიც არ კეთდება;

საუკეთესო შედეგი არ მოგვცა და გაუაზრებელი იყო სკოლებისთვის სრული დამოუკიდებლობის მიცემაც;

სამინისტრო სკოლების გარემონტებით უფრო მეტადაა დაკავებული, ვიდრე პროგრამების განახლებით, სწავლების ხარისხის ამაღლებით ან მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებით.

სავსებით ლოგიკურია, რომ ასეთი მოცემულობა განსაკუთრებული ანალიზის, მსჯელობის და საგანმანათლებლო სისტემის ძირეული გარდაქმნის საფუძველი უნდა იყოს.

ვფიქრობთ, ამ სავალალო შედეგის გამოწვევი ერთერთი მიზეზია ის, რომ საქართველო დღემდე ე.წ. განვითარებადი ქვეყნების სიაშია. შესაბამისად, მისი საგანმანათლებლო სისტემა კოლონიური აფრიკული ქვეყნების მსგავსია, ამიტომ დასავლურ თუ ევროპულ ღირებულებებთან ჩვენ მიერ ნაკისრი ინტეგრირების ვალდებულება არ იძლევა მსხვილმასშტაბიან შესაძლებლობას, გავხდეთ საუკეთესო თუ არა, საშუალო აკადემიური მოსწრების ქვეყანა მაინც.

ყველაზე მთავარი პრობლემა სკოლისა და მთლიანად საგანმანათლებლო სისტემისათვის ფინანსური რესურსების სიმცირეა. არავინ არ ზრუნავს ამ რესურსების მოძიებასა და გაზრდაზე. ეს მხოლოდ მასწავლებელთა დაბალ ანაზღაურებასთან არაა დაკავშირებული. მოსწავლეთა სწავლების მოტივაციის ამაღლება საჭიროებს თვალსაჩინო ინსტრუმენტების განახლებას, შევსებას, სკოლაში მასტერკლასების ჩატარებას და ა.შ. რისი შესაძლებლობაც დღეს სკოლას არ გააჩნია.

ჩვენს მდგომარეობას ზუსტად ესადაგება და განათლებისადმი დამოკიდებულებას ასახავს შეგონება, რომელიც პროზაიკოს გიორგი გახოკიძეს ეკუთვნით: **„მძიმეა ხვედრი ჩვენი ქვეყნისა და ბრმაა საზოგადოება, რომელიც ამ ყველაფერს გაღმა ნაპირიდან უმზერს“.**

დასკვნები და წინადადები

ამრიდად, ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის მოკლე

ანოტაციიდანაც ნათლად ჩანს, რომ მუდმივმა რეფორმებმა და ცვლილებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და საქართველოში განათლების სისტემა კვლავ საჭიროებს ძირეულ გარდაქმნებს. პირველყოვლისა, ასეთი გარდაქმნები უნდა დაეფუძვნოს არა მოჩვენებითობას, არამედ უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

საგანმანათლებლო სისტემაში ძირეულ გარდაქმნასა და პროგრესს რომ მივაღწიოთ, პირველ რიგში, გაერომ უნდა მოგვიხსნას განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. ელემენტარულია, ამ სტატუსის მქონენი ვერ ვიქნებით ცივილიზებული მსოფლიოს სრულფასოვანი წევრები.

სამინისტროსა და მთლიანად განათლების სისტემაში უნდა დამკვიდრდეს სახელმწიფოებრივი აზროვნება და განათლებას უნდა მიენიჭოს უპირველესი პრიორიტეტი.

გამოინახოს რესურსები და გაიზარდოს განათლების სისტემის დაფინანსება.

ხელი შეეწყოს კერძო და საჯარო სექტორის ჯანსაღ კონკურენციას და გათანაბრდეს მათ შორის დაფინანსების პირობები.

განათლებული ადამიანის აღზრდა ნიშნავს სახელმწიფოს სიძლიერეს, ეკონომიკის განვითარებას, ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების ამაღლებას, ჯანდაცვის უზრუნველყოფას, მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის - PISA 2022, პირველადი ანგარიში, https://bitly.ws/37oJj;

2. გიორგი გახოკიძე: რა „მოხელე-ჩიქვანია“ განათლების სამინისტრო და რა საჭიროა ის? https://geworld.ge/ge/giorgi-gaxokidze-ra-moxele/;

3. მერაბ ჯანელიძე, სამწუხარო რეალობა,

4. https://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=178&id=34932;

5. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2005 წლის 8 აპრილი.

6. №1330–Iს;

7. ხომასურიძე დ., საჯარო სკოლის დაფინანსების სრულყოფის პერსპექტივა;

8. ჯალაღონია დ. პაპასქუა ი. პანდემიის პირობებში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პერსპექტივა, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, 13(2), 43–52. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/698;

9. პაპასქუა ი. (2023), მხოლოდ განათლება იყო და არის ხალხის ყოველგვარი ბედნიერებისა და კეთილდღეობისა, საერთო გაზეთი, №28(710), 13 სექტემბერი, გვ.10-12.